”დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – ”დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

დნეპროპეტროვსკი. ”მეტეორის” სტადიონი. 21 ივლისი.

”დნეპრი”: კრაკოვსკი, კუტუზოვი, დილაი, ბაგმუტი, ნაზაროვი, პავლოვი, კუზნეცოვი, ფედორენკო (ჩერვონი), უსტიმჩიკი, პოგორელოვი (ლიუტი), ტარანი.

”დინამო”: კუცია, დანელია (კაკილაშვილი), ჩივაძე, პაიკიძე, ჟიბა, ფრუიძე, სვანაძე (ჩქარეული), სულაქველიძე, გურული, ცაავა, შენგელია.

მსაჯი: ვ. ჟუკი (მინსკი).

დუბლიორები - 0:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჩქარეულმა.

თბილისის ”დინამოს” ყოველი კალენდარული მატჩის შემდეგ ქვეყნდება სარეცენზიო წერილები და, მიუხედავად იმისა რომ ოპტიმიზმისთვის აბსოლუტურად არა გვაქვს არავითარი საფუძველი, მაინც ერთთავად იმას ვცდილობთ, გავამხნევოთ დინამოელი ფეხბურთელები, მხარში ამოვუდგეთ მათ, ხელი შევუწყოთ, რომ უკეთესად ითამაშონ და გუნდისთვის ამ უაღრესად მძიმე პერიოდში მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

მაგრამ დრო გადის, პირველი წრე კარგა ხანია დამთავრდა, დაიწყო გადამწყვეტი შეხვედრები და თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელები არსებითად ჯერ კიდეც ისე თამაშობენ, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში: უნებისყოფოდ, უსისტემოდ, დაბალ სპორტულ დონეზე. ტური ტურს მოსდევს და პროგრესი არ ჩანს.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ის, რასაც ახლა ვხედავთ, თბილისის ”დინამოს” სრულ პოტენციალს გამოხატავს, რომ მას არ გააჩნია რეზერვები. გუნდში არიან გამოცდილი მებრძოლებიც, პერსპექტიული ახალგაზრდებიც, მაგრამ მათი ერთობლივი მისწრაფებისა და მონდომების ნაყოფს ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ.

თუ შემდგომშიც ასე გაგრძელდა, თუ ჩემპიონატის დარჩენილ ეტაპზეც ასე აპირებენ დინამოელები თამაშს, 1983 წლის სეზონი კატასტროფამდე მიგვიყვანს, ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა მათი ძალების მობილიზება, მონდომებისა და ენერგიის მაქსიმალური გამოვლენა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი, აღიარებული გუნდი, საქართველოს სპორტის სიამაყე, დაბალი ლიგის კარიბჭესთანაა მიმდგარი და თუ ახლავე არ მივხედავთ საქმეს, თუ ახლა მაინც არ გამოვიჩინეთ ზღვრული მობილიზება, შემდგომში შეიძლება ვეღარც მოვასწროთ მდგომარეობის გამოსწორება.

12 მარცხი 21 მატჩში - განა ეს არ იძლევა განგაშის საფუძველს? კიშინიოვის ”ნისტრუმ” წააგო 16 შეხვედრა, თბილისის ”დინამომ” კი - 12. დანარჩენი გუნდებიდან ამდენი წაგება არც ერთს არა აქვს.

იმავე ”ნისტრუმ” თავის კარში მიიღო 43 ბურთი, ხოლო თბილისის ”დინამომ” – 34. ესეც ასევე უარესი მაჩვენებელია უმაღლეს ლიგაში.

წუთითაც არ გვინდა ის აზრი დავუშვათ, რომ თბილისის ”დინამოს” ხელმძღვანელობა და თვით ფეხბურთელები არ ხედავენ შექმნილი ვითარების სირთულეს, არ უფიქრდებიან იმ სავალალო მდგომარეობს, რომ გუნდი მე-16 ადგილზეა. მაგრამ, ეტყობა, ამ არნახულად დაბალი მაჩვენებლების გამოსასწორებლად ფეხბურთელები ჯერ კიდევ არ არიან ისე მობილიზებული, რომ ვირწმუნოთ მისი უკეთესი მომავალი, მისი ძალა და შესაძლებლობანი. დღეს უშუალოდ მინდორზე გამართული ბრძოლისას ვერ ვხედავთ, რომ ”დინამოს” მოთამაშეები მაქსიმალურად ცდილობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაღაც ინდიფერენტიზმი, სასხვათაშორისო განწყობილება იგრძნობა მათს გამოსვლებში. ვერ ვხედავთ იმ უკიდურესად მობილიზებულ ნებისყოფას, იმ საბრძოლო განწყობილებას, რომელიც უნდა გამოავლინოს უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა გუნდმა.

ახლა საკავშირო ჩემპიონატში ხანმოკლე შესვენებაა, 2 და 5 აგვისტოს თბილისის ”დინამო” შინ ღებულობს კიშინიოვის ”ნისტრუს” და ოდესის ”ჩერნომორეცს”, შემდეგ კი კვლავ გასვლა ელის - მოსკოვის ”სპარტაკთან” და მოსკოვის ”დინამოსთან”. ამ უახლოეს მატჩებში თბილისის ”დინამოს” თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს ისე, როგორც არასდროს და თუნდაც ნაწილობრივ მაინც გამოასწოროს წლევანდელი უმძიმესი ჩავარდნა.

უკან დასახევი გზა არაა! ეს უნდა ახსოვდეს თბილისის ”დინამოს” ყოველ წევრს. გულშემატკივართა იმედებს და ნდობას გამართლება ესაჭიროება!

ორიოდე სიტყვა ”დნეპრთან” ჩატარებული მატჩის თაობაზე: მე-11 წუთზე ანგარიში გახსნა კუზნეცოვმა. შესვენების შემდეგ 78-ე წუთზე, ცაავამ საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ორიოდე წუთის მერე ლიუტიმ კვლავ დააწინაურა თვისი გუნდი.

ბ. ქორიძე.
”ლელო”, 23 ივლისი, 1983 წ.